დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109260574**

თარიღი:**26/02/2026**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შპს „მაგთიკომისათვის“ ქ. დმანისში, წმ. ნინოს ქ. N56-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის სახურავზე არსებული ფართის იჯარით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის, 26-ე მუხლისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 24 თებერვლის N 108-1082605514 წერილის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ქ. დმანისში, წმინდა ნინოს ქ. N56-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 4538.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 82.01.46.081) განთავსებული 2035.00 კვ.მ შენობა-ნაგებობის სახურავზე არსებული 3.00 კვ.მ ფართი 1(ერთი) წლის ვადით, იჯარით, სარგებლობის უფლებით გადასცეს შპს „მაგთიკომი“-ს (ს/კ 204876606), მობილური კავშირგაბმულობის ანტენების განთავსების მიზნით და სარგებლობის უფლებით გადაცემისას საიჯარო ქირის საფასურის ოდენობა განისაზღვროს - 6600 (ექვსიათას ექვსასი) ლარი წელიწადში.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი